პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 290 (9758) | ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — წიგნი ბავშვს გულწრფელად უნდა აღელვებდეს (მე-3 გვერდი).

რედაქციის ფოსტიდან.—პასუხი-გამოცანა (მე-3 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. — შეკეთებული ... ბოსტნეულის მძლავრი მეურნეობა (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ... ლატის პრეზიდიუმის მიმართვა საფრანგეთის ეროვნული კრებისადმი (მე-4 გვერდი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დიადი ძალა

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს დადგენილება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, რაც 1954 წლის იანვარში სრულდება.

ეს ისტორიული მოვლენა — ორი მომძმე ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების — გაერთიანების 300 წლისთავი არა მარტო რუსებისა და უკრაინელების დიდი დღესასწაულია, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი ზეიმიც არის, რადგან რუსი და უკრაინელი ხალხებისა და ჩვენი სამშობლოს ყველა სხვა მრავალი ხალხის ურღვევი მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი ძალების საფუძველია საფუძველი და მძლავრი წყაროა.

ხალხთა მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წარმატების მთავარი პირობა იყო, არის და იქნება. ამ დიადი და ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივ გაძლიერება, ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის სოციალისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია თავის წმიდა მოვალეობად.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას ორმა ისტორიული ფესვები აქვს. ოცი ჩაისახა იმ შორეულ წლებში, როცა რუსი ხალხი აერთიანებდა და რაზმავდა ჩვენს სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხს, რათა წინააღმდეგობა გაეწია უცხოელი დამპყრობლებისათვის, რომლებსაც თვალი ეჭირათ ჩვენს მიწაწყალზე, ჩვენს აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეზე. ეს მეგობრობა ვითარდებოდა იმ პერიოდში, როცა რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სხვა ეროვნებათა მუშებს რაზმავდა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი გამოიწრთო და უძლეველ ძალად გაიზარდა სსრ კავშირის ყველა ხალხის ერთობლივ ბრძოლაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის, საშოქალაქო ომის ცეცხლში, გმირულ ყოველდღიურ სოციალისტურ მშენებლობაში, დიდი სამამული ომის მძიმე, მაგრამ სახელოვან წლებში. ფართოვდება და მტკიცდება ეს ურღვევი, ბრძოლებში გამოწრთობილი მეგობრობა ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხები ძალღონესა და შრომას არ იშურებენ და ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების პროგრამას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს.

რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის დიადი ძალის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია.

უკრაინელი ხალხი მველი რუსი ეროვნების ერთიანი ფესვიდან წარმოიშვა. წარმოშობის ერთიანობით, მთელი ისტორიული განვითარების სიახლოვითა და ერთობით რუს ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული, იგი მუდამ ესწრაფოდა მოძმე რუს ხალხთან გაერთიანებას. ბევრი ტანჯვა გაიცადა უკრაინამ უცხოელ დამმონებელთა უღელქვეშ, ბევრი მძიმე მსხვერპლი გაიღო მან განმათავისუფლებელ ბრძოლაში თურქ-თათართა ხანების მომთაბარე ურდოების წინააღმდეგ და პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ. მათი აგრესიული გამანადგურებელი თავდასხმები უკრაინის მიწაწყალზე დაღუპვას უქადდა უკრაინელ ხალხს, საფრთხეს უქმნიდა მის, როგორც ერის, არსებობას. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფურცელი იყო განმათავისუფლებელი ომი, რომელსაც უკრაინელი ხალხი ეწეოდა 1648-1654 წლებში თაისი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით.

მრისხანე და მძლავრ ძალად აღსდგა ამ ომისათვის თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხი. უცხოელი მჩაგვრელებისაგან ხსნად მას მიაჩნდა დიდ რუს ხალხთან გაერთიანება. ამ ომის მთავარი და გადამწყვეტი ძალა იყო უკრაინელი გლეხობა. მისი ბრძოლა მხურვალე გამოხმაურებას და თანაგრძნობას პოულობდა პოლონეთის გლეხობაში, რომელიც აგრეთვე იტანჯებოდა პოლონელი ფეოდალების ბატონობის გამო. მაგრამ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო გაქანებას და მის წარმატებას ყველაზე უფრო შეუწყო ხელი რუსეთის სახელმწიფოს და განსაკუთრებით რუსეთის ხალხთა მესების მუდმივმა დახმარებამ და მხარდაჭერამ, რომლებიც მუდამ თანაუგრძნობდნენ თავიანთ უკრაინელ ძმებს.

რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ პერეიასლავის რადის გადაწყვეტილება უკრაინელი ხალხის ნამდვილი ნების გამოვლინება და მობრუნების ეტაპი იყო უკრაინის ცხოვრებაში, მის ისტორიაში. უკრაინელმა ხალხმა, საუკუნოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი ღვიძლ ძმას — რუს ხალხს, ამით გადაარჩინა თავი და შეინარჩუნა თავისი ვინაობა როგორც ერმა. რუსეთთან უკრაინის შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ რუსეთს სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი ხალხისა და რუსი ხალხის შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. დაიცვეს რა თავიანთი მიწაწყალი უცხოელ დამპყრობთაგან, ისინი მტკიცედ დაადგნენ ერთადერთ სწორ გზას — საერთო მჩაგვრელების — მებატონეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გზას. უკრაინელი ხალხი რუსი ხალხის შემდეგ პირველი დაადგა სოციალიზმის გზას.

იბრძოდა რა ცარიზმისა და მისი რეაქციული პოლიტიკის — ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ, უკრაინელმა ხალხმა ყოველთვის იცოდა, რომ რუსი ხალხის საუკეთესო შვილები თანაუგრძნობდნენ მის სამართლიან ბრძოლას, აღიარებდნენ და იცავდნენ უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებას. უკრაინელი ხალხის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად ისინი თანმიმდევრულად იბრძოდნენ რუსეთისა და უკრაინის ხალხთა ერთმანეთზე გადამტერების წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებდნენ რუსი და უკრაინელი მემამულეები და ბურჟუაზია და მათი დამქაშები — დიდმპყრობელური სულით გამსჭვალული რუსი შოვინისტები და უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, რომელნიც ხელყოფდნენ რუსეთისა და უკრაინის მიწაწყალს, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის სასიცოცხლო, ურღვევი მეგობრობა. და ამ მეგობრობის საფუძველზე ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული დიდი წარმატებანი დამაჯერებლად ამხილებენ რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიული მნიშვნელობის მეფასებაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ დამახინჯებათა ანტიისტორიულ არსს, ცხადყოფენ, რომ ამთა ბურჟუაზიული-ნაციონალისტების ყველა ცდა — ძირი გამოუთხარონ და დაარღვიონ რუსი, უკრაინელი ხალხებისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა კავშირი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ყველა ხალხი დაადგა ახალ, სოციალისტურ გზას, რადგან მათ ამ გზაზე ჰპოვეს თავიანთ საუკუნეობრივ ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელება და უზრუნველყვეს თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი აყვავება.

თავისი საუკუნეობრივი ოცნება განახორციელა უკრაინელმა ხალხმაც. მან შექმნა უკრაინის ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო, რითაც საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ, ყველაზე სახელოვან ეპოქას. საბჭოთა უკრაინა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული, ყველაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა, მსხვილი, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურა. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად უკრაინელმა ხალხმა მთელი თავისი ძველთაძველი მიწაწყალი გაიერთიანა ერთიან უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოდ და ახლა, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმისაკენ.

დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელმა გარდამქმნელმა ძალამ წარმოშვა ახალი, სოციალისტური ერები, რომელთა ძალას წარმოადგენს მათი ძმური მეგობრობა და მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირმა უჩვენა მსოფლიოს ეროვნული საკითხის სამართლიანი და ძირეული გადაწყვეტის მაგალითი. საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას გაუხსნა საწარმოო ძალების განვითარების, ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ფართო გზა.

სსრ კავშირის ყველა ხალხის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს დიდი რუსი ხალხის უანგარო და მრავალმხრივი დახმარება. წინათ ჩამორჩენილი განაპირა მხარეები ამ დახმარების მეოხებით მოკლე ვადაში გადაიქცნენ აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკებად. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ, რუსი ხალხის ეს დახმარება საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით გადაწყვიტონ ახალი რთული ამოცანები — განუხრელად ავითარონ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა, აუმჯობესონ ხალხის ფართო მასების კეთილდღეობა.

კომუნიზმისათვის ერთობლივ ბრძოლაში მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა დიადი და ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალა, ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს უძლეველობისა და დიდების წყარო.

შესანიშნავ ისტორიულ მოვლენას — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს — საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ როგორც დიდ ეროვნულ დღესასწაულს — ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი დიდებამოსილი საბრძოლო დროშის გარშემო დარაზმულ სსრ კავშირის ხალხთა მარად ურღვევი მეგობრობის გამარჯვების დღესასწაულს.

„პრავდის“ 9 დეკემბრის მოწინავე

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონში წელს სიმინდის ერთი ჰექტარიდან მოსავალია. ჭყონდიდარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში 210 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 35 ცენტნერი სიმინდი. ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი გივი ლიპარტია ხელმძღვანელობს, 36 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი სიმინდი მიიღო. სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს აგრეთვე მერგოლურმა კირილე ორმოცაძემ, კოლმეურნე ისაკი ნარსიამ და სხვებმა.

კოლმეურნეებმა ავანსად შრომადღეზე უკვე მიიღეს 11 კილოგრამი.

მამათის კოლმეურნეობის შემოსავალი წელს შვიდ მილიონამდე მანეთს მიაღწევს. მამათელმა კოლმეურნეებმა შრომადღეზე ავანსად 25 მანეთი და 2,5 კილოგრამი სიმინდი მიიღეს. იმ ბრიგადის შემოსავალი, რომელსაც ფილიპე კილაძე ხელმძღვანელობს, 1.100.000 მანეთს აჭარბებს. წლის ბოლომდე ეს ბრიგადა კიდევ 100.000-მდე მანეთს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ შემოსავლის 90 პროცენტი ბრიგადამ ჩაის კულტურით მიიღო.

მეშახტეთა ტექნიკური სწავლა

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის შახტებში დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. წელს მარტო სასწავლო-საკურსო კომბინატში ტექნიკური მინიმუმის წრეები დაამთავრა 341 კაცმა, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლა სხვადასხვა პროფესიის მქონე 336 მეშახტემ. ამჟამად აქ მუშაობას განაგრძობს 19 ტექნიკური წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 160 კაცი.

ბევრი მეშახტე წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით იმაღლებს თავისი ტექნიკური ცოდნის დონეს, ეუფლება თანამედროვე სამთო ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევებს.

ახალი ნაგებობანი

ბალი. (საკ. კორ.). სოფელ ოქუმში დამთავრდა ჩაის ახალი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც ყოველ სეზონში 1.500 ტონა ჩაის ნედლეულს გადაამუშავებს. ფაბრიკა ახალი წლიდან მთელი სიმძლავრით იმუშავებს. იგი უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით.

სოფელ თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა კანტორის ახალი შენობის აგება. გარდა იმ ოთახებისა, რომლებიც უკავია გამგეობას, პარტორგანიზაციას, აგროტექნიკურ პერსონალს, ბუხჰალტერიას და სხვ., შენობაში მოთავსებულია კეთილმოწყობილი კლუბი, რომელიც 300-მდე კაცს იტევს.

ორთაჭალჰესის მშენებლებთან

სამას არაგველთა ჯერ ისევ არსებული ხიდიდან (მალე ეს ხიდი უნდა აიღონ, რადგან სამაგიეროდ უფრო ფართო, მკვიდრი და ლამაზი ახალი ხიდი გადაეკვლება იქვე მდინარის კალაპოტს) შუა მტკვარში აღმართული კაშხალის ბურჯები მორჩილი ტანისა ჩანან. ახლოს მისვლისას კაცს გაკვირვებს მხედველობითი შთაბეჭდილების ასეთი შეუსაბამობა სინამდვილესთან: მრავალსართულიანი სახლის სიმაღლის რკინაბეტონის გოლიათურ ბურჯებს მდინარის ფსკერის სიღრმეში დიდზე ჩაუწვდენიათ თავიანთი საფუძვლები, კოშკისებრად მაღლა აწვდილან, წყლისათვის გზის ჩასაკეტი ფოლადის უზარმაზარი ფარები აუსხამთ და ხალ კლდეზე უმტკიცესად დგანან შემდგომი თაობებისათვის ჩვენი თაობის შრომითი თავდადების დასადასტურებლად.

მშენებლობის პანორამას სულ შეუცვლია მტკვრის ამ მიდამოს საერთო ხედი. მდინარის ნაპირზე მისასვლელი დაღმართები წაუშლიათ, რკინაბეტონის მაღალ კედლებს შემოუფარგლავთ საერთო კონტური იმ ადგილისა, სადაც მალე მტკვრის შეგუბებას უნდა შეუდგნენ, კაშხალის კოშკურებს შორის მძლავრი ამწე-მექანიზმები გაუმართავთ.

მშენებლები უკვე გადასული არიან დასკვნითი სამუშაოების შესრულებაზე. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი თბილისის მშრომელთა წინაშე, დათქმულ ვადებში უზრუნველყვეს აგრეგატების მემონტაჟეებისათვის სამუშაო ფრონტის გამზადება, შექმნეს პირობები ჰიდროელექტროსადგურის დანიშნული ვადისათვის ასამუშავებლად, მაგრამ... ელექტროსადგურის თუნდაც ნაწილობრივ ამუშავება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თბილისი ჯერ კიდევ მოკლებულია ფამატებითი ელექტროენერგიის მიღების საშუალებას, ხოლო იმის შესახებ, თუ რატომ და ვისი უთაურობის შედეგია ეს, მოთხრობილი იქნება ქვემოთ.

ამჟამად ასამუშავებლად გამზადებულია ერთი აგრეგატი, რომლის გამოცდა უახლოეს დღეებში დამთავრდება. აგრეგატის გამოსაცდელად საჭიროა კაშხალის ფარების ძირს ჩაშვება, მტკვრის ცოტა ხნით შეგუბება, არა საპროექტო ნიშნულამდე, არამედ რამდენიმე მეტრის სიღრმემდე, ხოლო ამის შემდეგ სულ რამდენიმე დღე იქნება საჭირო იმისათვის, რომ სადგურმა დენი მოგვცეს. არ გაიკლის დიდი ხანი, რომ ასამუშავებლად მზად იქნება მეორე აგრეგატიც, მაგრამ მისი დაუყოვნებლივ ამუშავებაც შეუძლებელი იქნება. რატომ?

— იმიტომ, რომ ჰიდროაგრეგატების ასამუშავებლად, მაშასადამე, თბილისისათვის დამატებითი ელექტროენერგიის მისაცემად საჭიროა კაშხალის ფარების ჩაკეტვა, მდინარის შეგუბება საპროექტო ნიშნულამდე. მდინარის შეგუბება მტკვარს დაეტყობა რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე ქალაქის ფარგლებში. მაგრამ ქალაქის საკანალიზაციო ქსელი მზად არ არის იმისათვის, რომ მდინარეში წყლის შეგუბებას შეუდგნენ. ქალაქის ძველი საკანალიზაციო ქსელი და ნიაღვარსაშვებები შეერთებულია მტკვართან. ქსელის რეკონსტრუქციას, რაც თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების საქმეა, კარგა ხანია შეუდგნენ, მაგრამ ისე ნელა, რომ ამ სამუშაოთა დამთავრებას ჯერ კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება. ცხადია, თუ ნიაღვარსაშვები კოლექტორები მზად არ იქნა, მდინარეში წყლის შეგუბება შეუძლებელი გახდება, რადგან შეგუბებული წყალი კოლექტორებში შეიჭრება.

დიდი ხანი არ არის, რაც შეუდგნენ საკანალიზაციო კოლექტორების ფართო მასშტაბით და სწრაფი ტემპით მშენებლობას. სხვადასხვა უბნებზე ეს სამუშაოები მიანდეს სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებს და სანამ მათ კოლექტორების მშენებლობა არ დაუთავრებიათ, ორთაჭალჰესის კაშხალში ფარების ძირს ჩაშვება და მდინარის გადაკეტვა არ მოხერხდება.

საინტერესოა, რომ ყოველივე ეს წინათაც იცოდნენ ქალაქის საბჭოს იმ მუშაკებმა, რომელთაც ევალებოდათ ფეკალური და სანიაღვრე საკანალიზაციო კოლექტორების მშენებლობისათვის ზრუნვა, ქსელის სარეკონსტრუქციოდ დაწყებული სამუშაოთა სწრაფი ტემპით განვითარება. ამის შესახებ თავის დროზე პრესაშიც დაიწერა, მაგრამ ისინი მაინც უდარდელობას იჩენდნენ, ტაატით მუშაობდნენ.

* * *

ორთაჭალჰესის მშენებლობის უფროსის ინჟინერ გ. ჩოგოვაძის კაბინეტს, რომლის კარი ყოველთვის ღიაა მშენებლებისათვის, მუქი წითელი ხავერდის დიდი დროშა ამშვენებს წარწერით:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს“.

მეორე წელიწადია ამ დროშას ინარჩუნებენ ორთაჭალჰესის მშენებლები და ამაყობენ ამით. მათ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ჯერჯერობით შესრულებული აქვთ 200.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო, 100.000 კუბმეტრამდე ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაო. 70.000 კუბმეტრი მარტო კლდის სამუშაო შესრულეს, გამართეს ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობათა სრული კომპლექსი, შექმნეს საბჭოთა ენერგეტიკოსი — მშენებლების მიერ გონებამახვილურად მოფიქრებული შესანიშნავი ნაგებობა, რომელიც ჩვენი დიდი ეპოქის ღირსეულ ძეგლად დარჩება. დიდი შრომა, დიდი ამაგი მოუძღვით ამ ნაგებობის შექმნაში მოწინავე მშენებლებს — ვასილ შიუკაშვილს, მიხეილ კუზმენკოს, გიორგი ხიზანიშვილს, ვასილ კობერიძეს, ინჟინრებს — ნ. ემოხვარს, ი. კახაძეს, გ. ახალაძეს, ჭ. ანდღულაძეს, მეეტლეკავატორე ი. ბერუაკაშვილს, ბევრ სხვას.

მათ ენერგია არ დაუშურებიათ თბილისის მშრომელთა იმედის გასამართლებლად და ახლა გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ხაქალაქო მეურნეობის ზოგი მუშაკის წინდაუზედობის გამო იძულებული არიან გარკვეული დროით გადადონ ორთაჭალჰესის ამუშავება.

დ. ლოგვინაძე.

სახელმწიფო ეხმარება კოლმეურნეობებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები სახელმწიფოსაგან დიდი რაოდენობით იღებენ გრძელვადიან კრედიტებს მეცხოველეობის, მეფრინველეობის განვითარებისათვის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების და ვენახების გასაშენებლად.

სოფელ რუხის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსაგან წელს სესხად 187 ათასი მანეთი მიიღო. ამ თანხიდან რუხელმა კოლმეურნეებმა 80 ათასი მანეთით გააშენეს თუთის ხის პლანტაციები, პიროტუტვის სადგომი ბინების მშენებლობისათვის დახარჯეს 45 ათასი მანეთი. სოფელ ჯიხასკარის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსაგან მიღებული 86 ათასი მანეთიდან 76 ათასი მანეთი მარტო მევენახეობის განვითარებისათვის დახარჯა.

სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსაგან მიღებული 73 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტიდან 35 ათასი მანეთი დახარჯა სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად, ხოლო 33 ათასი მანეთი აბრეშუმის საჭიეების მშენებლობისათვის.

ასეთივე დიდი რაოდენობით მიიღეს სესხი სახელმწიფოსაგან ახალსოფლის, კორცხელის, კახათის და სხვა კოლმეურნეობებმა.

წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან 1.715 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს.



თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი შეუდგა ე. წ. ორკალათიანი სამტონიანი მექანიზებული წნეხების სერიულ გამოშვებას მეღვინეობის მეურნეობებისათვის. უკვე გამოშვებული წნეხების პირველი პარტია — 30 წნეხი გაეგზავნათ უკრაინის, მოლდავეთის, კრასნოდარის მხარის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეღვინეებს.

ქარხნის კოლექტივმა დავალება მიიღო მომავალი წლიდან ასეთი მექანიზებული წნეხების გამოშვება 2,5-ჯერ გაადიდოს.

ამასთან ამავე ქარხანაში შეუდგნენ ღვინის, სპირტის, ლიქიორის სატუმბავი მანქანების „ნ-21“ სერიულ გამოშვებას. მომავალი წლიდან ასეთი სატუმბავების გამოშვება ქარხნის კოლექტივმა 30 პროცენტით უნდა გაადიდოს. ქარხანაში დაიწყეს აგრეთვე ჩარჩოიანი ბადურა ფილტრების სერიული გამოშვება. ასეთ ფილტრებს იყენებენ ღვინისა და ხილის წვენის გასაწმენდად.

სურათებზე: 1. სამტონიანი მექანიზებული წნეხების მონტაჟი; 2. გასაგზავნად გამზადებული ტუმბოების შემოწმება; 3. ჩარჩოიანი ბადურა ფილტრების აწყობა.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. ვიშინსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ა. ი. ვიშინსკის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 9 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის **დაჯილდოებულ იქნნ:**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **აბულავი** ვართან იოსების-ძე — უფროსი ლაბორანტი.
2. **ამილახვარი** თამარ გიორგის ასული — უფროსი ლაბორანტი.
3. **ბიბერი** არნოლდ ავგუსტის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
4. **ბურჭულაძე** ვერა ალექსის ასული — უფროსი მასწავლებელი.
5. **გამრეკელი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
6. **დონდუა** ქეთევან ვასილის ასული — ლაბორანტი.
7. **ერქომაიშვილი** ალექსანდრა (შურა) ყარამანის ასული — უფროსი ლაბორანტი.
8. **ზაუტაშვილი** კონსტანტინე გიორგის-ძე — კათედრის გამგე.
9. **იშხნელი** ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე — ასისტენტი.
10. **კაპანაძე** ოლღა ვასილის ასული — უფროსი მასწავლებელი.
11. **კეცხოველი** ოლღა იოსების ასული — ასისტენტი.
12. **ყიფიანი** ელისაბედ გიორგის ასული — უფროსი ლაბორანტი.
13. **კობიძე** მარიამ ნიკოლოზის ასული — უფროსი ლაბორანტი.
14. **ლაბაძე** ქსენია ზინობის ასული — ლაბორანტი.
15. **მათიაშვილი** ნინო ივანეს ასული — მასწავლებელი.
16. **მეხი** ელენე პროკოფის ასული — ასისტენტი.
17. **მიქაბერიძე** დიმიტრი არჩილის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
18. **ნათაძე** ვახტანგ გიორგის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
19. **ნუცუბიძე-ჩხეტია** ქიონია (ქეთევან) სოლომონის ასული — უფროსი ლაბორანტი.
20. **სურგულაძე** ქეთევან ლუკას ასული — უფროსი ლაბორანტი.
21. **ტაბატაძე** ოლღა ზაქარიას ასული — უფროსი ლაბორანტი.
22. **თევზაძე** ნიკოლოზ რაჟდენის-ძე — ასისტენტი.
23. **ცინცაძე** დუდუხან ხარიტონის ასული — უფროსი ლაბორანტი.
24. **ჭიქაშუა** ნადეჟდა ვასილის ასული — უფროსი ლაბორანტი.
25. **ჭუბაბრია** ელენე პეტრეს ასული — ლაბორანტი.
26. **შენგელია** ზურაბ სიმონის-ძე — ასისტენტი.

საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

ლენინის ორდენით

ნიკოლაძე რუსუდან ნიკოლოზის ასული — პროფესორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ამატუნი** ერანუი სუმბათის ასული — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **ართმელაძე** ნინო კონსტანტინეს ასული — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. **გამყრელიძე** პეტრე დიანოზის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
4. **გოშვილი** ვასილ დავითის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **გოცირიძე** გიორგი დავითის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **გუნია** სერგი უშანგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **ჯიქია** რაჟდენ ივანეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **ძიძაძე** სტეფანე სერგის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **ზარიძე** გიორგი მიხეილის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
10. **კოჩინაშვილი** ლიდა ვლადიმერის ასული — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
11. **მუხაძე** გიორგი მიხეილის-ძე — პროფესორი.
12. **ურიდია** პარმენ ისიდორეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
13. **ხარატიშვილი** გიორგი დავითის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **აბდულაევი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **ავაბაბიანი** რუბენ იაკობის-ძე — არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი.
3. **ალავიძე** ნიკოლოზ რაჟდენის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
4. **ასათიანი** ოვიელ ერასტის-ძე — დოცენტი.
5. **გეგელაშვილი** გიორგი პეტრეს-ძე — ასისტენტი.
6. **ივანოვი** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **ჭოთათელაძე** კალისტრატე სევერიანეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **ნადირაძე** ვახტანგ რაჟდენის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **რაზმაძე** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
10. **სისოიანი** გრიგოლ არტემის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
11. **თავხელიძე** დავით სერგის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
12. **უკლიეცკაია** ფეოდოსია ტიმოთეს ასული — უფროსი პრეპარატორი.
13. **ჭყონია** მარიამ ევსევის ასული — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **გამსახურდია** თორნიკე რაჟდენის-ძე — ასისტენტი.
2. **გარაყანიძე** მიხეილ კასიანეს-ძე — არქიტექტურის კანდიდატი, დოცენტი.
3. **გაჩეჩილაძე** თამარ ივანეს ასული — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
4. **ძიძიგურჩ** არჩილ ამბროსის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **დიდიძე** მიხეილ სამსონის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **კალანდარიშვილი** შალვა კირილეს-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოკენტი.
7. **ლორთქიფანიძე** მიხეილ სოლომონის-ძე — არქიტექტურის კანდიდატი.
8. **მალუნცევი** ივანე მოსეს-ძე — ასისტენტი.
9. **ფარცხალაძე** ანა ალექსანდრეს ასული — ასისტენტი.
10. **პიტოევი** ვაგან იოსების-ძე — უფროსი მასწავლებელი.
11. **სირაძე** შალვა სოლომონის-ძე — ასისტენტი.
12. **ცხაკაია** ნიკოლოზ გიორგის-ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
13. **ჩაგუნავა** ვლადიმერ თადეოზის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
14. **ჩარკვიანი** სოკრატ ყარამანის-ძე — ასისტენტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბეჟანიშვილი** დავით აბრამის-ძე — ასისტენტი.
2. **ბურჭულაძე** სერგი დიმიტრის-ძე — ასისტენტი.
3. **ვასილევსკაია** ლუდმილა პეტრეს ასული — ასისტენტი.
4. **გვახარია** ვერა ბიკენტის ასული— უფროსი მასწავლებელი.
5. **ნინუა** გაბრიელ ალექსანდრეს-ძე — ასისტენტი.
6. **წულუკიძე** ლიდა ანტონის ასული — ასისტენტი.
7. **ჩიჯავაძე** ნინო ირაკლის ასული — უფროსი ლაბორანტი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ლენინის ორდენით

1. **დეკაპრელევიჩი** ლეონარდ ლეონარდის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ჯაში** ივანე ლეონტის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. **კალანდაძე** ლეონიდე პოლიეევქტის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
4. **ცხაკაია** ქსენია ეფრემის ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **ხომიზურაშვილი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
6. **ჭელიძე** მარიამ იოსების ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ბათიაშვილი** ირაკლი დიმიტრის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **გოქაძე** ბორის ნესტორის-ძე — არქიტექტურის კანდიდატი.
3. **გულისაშვილი** ვასილ ზაქარიას-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
4. **ჯაფარიძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. **ჯაფარიძე** გრიგოლ კონსტანტინეს-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **ჯიქია** ელიზბარ ბიჟიას-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **ულენტი** პეტრე მაქსიმეს-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **ზაზუნოვა** ეკატერინე მიხეილის ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **ქანთარია** ვალერიან ირაკლის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
10. **კეშელავშვილი** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
11. **მარგველაშვილი** ნიკოლოზ სიმონის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
12. **ფხაკაძე** ვერა ანტონის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
13. **ტარასაშვილი** გიორგი მიხეილის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
14. **ჩოჩია** სიმონ ივანეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **აფხაიძე** აკაკი მიხეილის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **ახვლედიანი** ვალერიან სარდანის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
3. **ბადრიშვილი** გიორგი მიხეილის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **გოკიელი** ელენე პეტრეს ასული — ასისტენტი.
5. **ქართველიშვილი** თამარ ბესარიონის ასული — ასისტენტი.
6. **კობერიძე** ალექსანდრე ვარლამის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **კიზირია** ქეთევან პეტრეს ასული — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **კერესელიძე** შალვა იასონის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **ლატარია** ვალენტინა ნიკოლოზის ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
10. **ლომინაძე** შალვა პავლეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
11. **ლორთქიფანიძე** ალექსანდრე დავითის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.
12. **მახალდიანი** ვახტანგ ვასილის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
13. **მხეიძე** ელისაბედ ანდრიას ასული— უფროსი ლაბორანტი.
14. **ნაცვლიშვილი** ვახუშტი მიხეილის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
15. **ნებიერიძე** ელეონორა იაკობის ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.
16. **პაიჭაძე** ნოე ვარდენის-ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
17. **სიმონგულოვი** სეით ალექსანდრეს-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
18. **თოფურიძე** ევსევი მელიტონის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
19. **ჩხუბიანიშვილი** იოსებ ივანეს-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
20. **ჩხენკელი** ივანე ალექსის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
21. **იაკობაშვილი** ბიძინა აბიათარის-ძე — დოცენტი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **გეგეშიძე** ქეთევან თორნიკეს ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.
2. **დარახველიძე** ვახტანგ თევდორეს-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. **ზალდასტანიშვილი** შალვა გიორგის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ზარაქაძე** ნაუმ ირაკლის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
5. **ქანთარია** ნოე ნიკოლოზის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **ყანჩაველი** გიორგი იოსების-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **კვაჭაძე** გიორგი ალექსის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **მამფორია** ფილიპე დიმიტრის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **ოსეფაშვილი** ალისტრო არსენის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
10. **ფირცხალავა** ნოე იოსების-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
11. **ხარაიშვილი** ივანე ფაუსტის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.
12. **სვანაძე** ელენე კონსტანტინეს ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
13. **თაგაური** ანა ზაქარიას ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
14. **ტატიშვილი** ელენე მიხეილის ასული — ასისტენტი.
15. **ჩხენკელი** ნესტორ ივანეს-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბაცელაშვილი** ნადეჟდა ბეგლარის ასული — ასისტენტი.
2. **რუხაძე** ივანე ონისიმეს-ძე — უფროსი მასწავლებელი.
3. **ჩადუნელი** ელენე ევნატეს ასული — უფროსი პრეპარატორი.
4. **კვირიკაძე** თამარ კონსტანტინეს ასული — უფროსი მასწავლებელი.
5. **ლორთქიფანიძე** ქეთევან დავითის ასული — უფროსი მასწავლებელი.
6. **ნანდირაშვილი** ელენე ვასილის ასული — უფროსი მასწავლებელი.
7. **ეპიტაშვილი** ქეთევან დიმიტრის ასული — უფროსი მასწავლებელი.

ლენინის სახელობის თბილისის კინოინჟინრების ინსტიტუტი

ლენინის ორდენით

1. **ბერგი** ნინო ჰენრიხის ასული — დოცენტი.
2. **პოლუტაევი** ვლადიმერ სიმონის-ძე — დოცენტი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **გვარამაძე** ნიკოლოზ ლევანის-ძე — პროფესორი.
2. **გურგენიძე** ვლადიმერ მიხეილის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. **კოსტიუკოვი** ლეონტი გრიგოლის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **მატათაშვილი** შალვა ნიკოლოზის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **ნეტკაჩეევი** მიხეილ ივანეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **ხოლოვიოვი** პეტრე ევგრაფის-ძე — პროფესორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ვაშაკიძე** ანდრია ვლადიმერის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **გოთოშია** ვლადიმერ სერგის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. **ლეკაშვილი** ლაზარე ზაქარიას-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ონანიანი** არმენაკ იოსების-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **პოპოვი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
6. **სეირანიანი** ვაგარშაკ აბრამის-ძე — ასისტენტი.
7. **სუმბათიანი** ალექსანდრე გომუსტის-ძე — ასისტენტი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ავაზაშვილი** დავით ზაქარიას-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **ავაქოვი** ავაქ არშაკის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. **ადრიანოვი** გიორგი ალექსანდრეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ანანოვი** აშოტ ათანასეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **ასტვაცატუროვი** არტაშეს იაკობის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
6. **ბუაჩიძე** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **გრიგორიანი** არშალუის მიხეილის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
8. **დმიტრიევი** ვალენტინ ნიკოლოზის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **კალანდარიშვილი** გიორგი ნაჭყმეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
10. **კარაპეტიანი** მაკარ ერვანდის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი.
11. **კასრაშვილი** შალვა გრიგოლის-ძე — ასისტენტი.
12. **ქოჩეჩაშვილი** ლევან დოროთეოსის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
13. **მაისურაძე** ალექსანდრე ვასილის-ძე — ასისტენტი.
14. **მოსტკოვი** მიხეილ აბრამის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
15. **მუხინი** კონსტანტინე მაკარის-ძე — ასისტენტი.
16. **საფარიანი** ანაიდა ალექსანდრეს ასული — მასწავლებელი.
17. **ხითარიშვილი** ალექსანდრე არტემის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
18. **ხუნდუა** გრიგოლ იულონის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
19. **ხოჯაშვილი** მარგარიტა ალექსანდრეს ასული — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
20. **იაკუბოვიჩი** მიხეილ ანდრიას-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ვაშაკიძე** გიორგი ბეკოს-ძე — უფროსი ლაბორანტი.
2. **ღოღობერიძე** სოფიო ნაუმის ასული — უფროსი მასწავლებელი.
3. **სანიკიძე** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — ასისტენტი.
4. **შენგელია** სიმონ პავლეს-ძე — ასისტენტი.
5. **ეხაკია** თამარ სოლომონის ასული — ასისტენტი.

თბილისის საარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ლენინის ორდენით

1. **არაყიშვილი** დიმიტრი ევგნატეს-ძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.
2. **ბარხუდარიანი** სერგი ვასილის-ძე — პროფესორი.
3. **ვირსალაძე** ანასტასია დავითის ასული — პროფესორი.
4. **თულაშვილი** ანა ივანეს ასული — პროფესორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **კილაძე** გრიგოლ ბართლომეს-ძე — პროფესორი, დირექტორი.
2. **ქორიძე** ხარიტონ ნესტორის-ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.
3. **მელენტიევი** ვალენტინ ივანეს-ძე — დოცენტი.
4. **მშველიძე** შალვა მიხეილის-ძე — პროფესორი.
5. **სვანიძე** ანდრია (ონისიმე) პეტრეს-ძე — დოცენტი.
6. **სიმონიშვილი-ტატიშვილი** ქსენია ალექსანდრეს ასული — დოცენტი.
7. **შვედოვი** დიმიტრი ნიკოლოზის-ძე — პროფესორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ბოკუჩავა** სერგი აპოლონის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **კამოევა** მარიამ კონსტანტინეს ასული — დოცენტი.
3. **კორგანოვა** ბარბარე ანტონის ასული — დოცენტი.
4. **კუფტინა** ვალენტინა კონსტანტინეს ასული — პროფესორი.
5. **ფალიაშვილი** ლევან პეტრეს-ძე—დოცენტი.
6. **ხმალაძე** ვასილ ლაზარეს-ძე — პროფესორი.
7. **შავერზაშვილი** თამარ ანტონის ასული — დოცენტი.
8. **ხუციაშვილი** ვანდა ნიკოლოზის ასული — დოცენტი.
9. **შიუკაშვილი** ლეო ნიკოლოზის-ძე—პროფესორი.
10. **იაშვილი** ლუარსაბ სეითის-ძე — პროფესორი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **აღსაბაძე** შოთა რევაზის-ძე — დოცენტი.
2. **ბერიძე** გიორგი ბესარიონის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
3. **ბალანჩივაძე** ანდრია მელიტონის-ძე — პროფესორი.
4. **გაბიჩვაძე** რევაზ კონდრატეს-ძე — დოცენტი.
5. **გალიცკაია-თავაძე** ლარისა ევგენის ასული — უფროსი მასწავლებელი.
6. **ქაშაყაშვილი** ვალერიან სარდიონის-ძე — დოცენტი.
7. **სლიანოვა** დაგმარა ლევანის ასული — დოცენტი.
8. **თაქთაქიშვილი** შალვა მიხეილის-ძე — პროფესორი.
9. **ტერ-მინასოვა** ელენე სერგის ასული — დოცენტი.
10. **ხუციშა** პავლე ვასილის-ძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.
11. **ჩარექიშვილი** თამარ იოსების ასული — დოცენტი.
12. **ჩხარტიშვილი** თამარ ესტატეს ასული — დოცენტი.
13. **ევთიშვილი** მაგდენა გრიგოლის ასული — დოცენტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბაქრაძე** ელენე თევდორეს ასული — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი.
2. **ბარამიშვილი** ოლღა ივანეს ასული — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი.
3. **გუდიაშვილი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — უფროსი მასწავლებელი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლები

ლენინის ორდენით

ხარაძე არჩილ კირილეს-ძე — პროფესორი, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ბოჭორიშვილი** ანგია თადეოზის-ძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.
2. **გვერდწითელი** ივანე გაბრიელის-ძე — გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
3. **ესიევი** გიორგი პეტრეს-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
4. **მარგოლინი** დავით აბრამის-ძე — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
5. **რამიშვილი** ვალერიან თომას-ძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
6. **სეიდოვი** მეჯიდ ჰასან ოღლი — თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
7. **ხარაული** გიორგი ილიას-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.
8. **ცხაკაია** დომენტი გიორგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ზუგდიდის წერეთლის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დოცენტი.
9. **ჩხაიძე** გიორგი ხოსოს-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
10. **იაშვილი** ვუკოლ დავითის-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **აბობაძე** ერასტი ამბაკოს-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
2. **ბასილაია** ნიკანდრო ერასტის-ძე — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
3. **გაბრიაძე** დავით მელიტონის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
4. **დარახველიძე** არქიპო ბესარიონის-ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
5. **ჯანგველაძე** ნადეჟდა მელიტონის ასული — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.
6. **ყორდანია** ნატალია ფარნაოზის ასული — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
7. **ყიფშიძე** დავით სიმონის-ძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.
8. **მაჭავარიანი** ნინო არჩილის ასული — თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
9. **მაჩაიძე** მარიამ მარკოზის ასული — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
10. **მეძველია** კონსტანტინე ნესტორის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
11. **ნარსია** ვლადიმერ ივანეს-ძე — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
12. **როგავა** გიორგი ბესარიონის-ძე — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
13. **რუხაძე** პროკოფი ესტატეს-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.
14. **სტამბოლაშვილი** მამედ ისმაილის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი.
15. **ხაჟალია** გრიგოლ იაკობის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
16. **ჩაგლეიშვილი** ალექსანდრე ლეონტის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
17. **ჭანიშვილი** კირილე ტრიფონის-ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
18. **ჭელიძე** ლუკა ალექსანდრეს-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი.
19. **ჩიღვინაძე** დავით მელქისედეკის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
20. **ჩიკვაიძე** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი.
21. **ჩხეტია** მიხეილ ალექსანდრეს-ძე — გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ანთელავა** ირაკლი გიორგის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
2. **ბაბილოძე** კასიანე მათეს-ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
3. **ბასილაია** შოთა იოსების-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
4. **გაბადაძე** ნიკოლოზ ალექსის-ძე — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
5. **ღვინიაშვილი** ევგენია სიმონის ასული — გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
6. **გუგუშვილი** კონსტანტინე აღმასხანის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
7. **დარჩია** ლუბა პეტრეს ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
8. **დვედარიანი** გრიგოლ სერგის-ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
9. **ჯდარკავა** იონა ანტონის-ძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
10. **ჯიბუტი** ნადეჟდა მაკარის ასული — გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
11. **ზაგურსკაია** მარიამ ივანეს ასული — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
12. **იმედაძე** შუშანა სამსონის ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პ

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(დასასრული)

4. **ბრეგვაძე** ვალერიან არქიპოს-ძე — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

5. **ვეკუა** კლარა პავლეს ასული — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

6. **გაბელაშვილი** ნინო ისმაილის ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

7. **გურგენიძე** ნოე დავითის-ძე — თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

8. **დადუნაშვილი** სილოვან არტემის-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

9. **ჯაფარიძე** ივლიანე ნიკოლოზის-ძე — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

10. **ჯიმშელეიშვილი** ნინო სერაფიონის ასული ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი.

11. **კაკაბაძე** ვლადიმერ სპირიდონის-ძე — გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

12. **კაკაბაძე** ელენე ვლადიმერის ასული — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

13. **კალანდაძე** ვახტანგ ალექსანდრეს-ძე — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

14. **კარტოზია** ელენე ივანეს ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

15. **კვახვაძე** კვიროსი ამბაკოს-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

16. **კინწურაშვილი** ელენე ვლადიმერის ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

17. **ქუთათელაძე** ალექსანდრა ილიას ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

18. **მანგალაძე** ნინო გიორგის ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

19. **ნაკაშიძე** შაქირ ახმედის-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

20. **ოვჩარენკო** მარიამ გრიგოლის ასული — თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი.

21. **ფარცხალაძე** ქეთევან პავლეს ასული — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

22. **პოპოვა** ელისაბედ გაბრიელის ასული — სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრეპარატორი.

23. **წიქორიძე** გიორგი კლიმენტის-ძე — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

24. **ჭანტურია** ვერა ალექსანდრეს ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი.

25. **ჩიჯავაძე** შოთა იასონის-ძე — თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

26. **ჩხარტიშვილი** ნადეჟდა ისაკის ასული — ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი.

საქართველოს სსრ სხვა უმაღლესი სასწავლებლები

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ფალავა** აკაკი ნესტორის-ძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი.

2. **ფირცხალაური** ალექსანდრე იოსების-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

3. **ციმაკურიძე** ალექსანდრე გრიგოლის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ჯაფარიძე** უჩა (ილია) მალაქიას-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

2. **დუდუჩავა** მამია იოსების-ძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექტორი.

3. **კაკაბაძე** სილოვან იაკიმეს-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

4. **შელქაძე** ილია იაკობის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

5. **მერაბიშვილი** კონსტანტინე მიხეილის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

6. **მიქატაძე** შოთა ვლადიმერის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

7. **სანაძე** კორნელი ბარნაბის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

8. **სესიაშვილი** გიორგი დიმიტრის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

9. **თოიძე** მოსე ივანეს-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

10. **შებუევი** ბორის გიორგის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ჯაფარიძე** ვახტანგ ნოშრევანის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

2. **ჯაში** გიორგი პლატონის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

3. **კოპალიანი** ალფეზ პოფიცლეს-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსი ლაბორანტი.

4. **მამალაძე** იორამ არსენის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

5. **მრევლიშვილი** მალიკო ნიკოლოზის ასული — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ადამიძე** ვლადიმერ ანდრიას-ძე — საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

2. **გორგაძე** ზაქარია სიმონის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსი ლაბორანტი.

3. **ქუთათელაძე** ვლადიმერ ყარამანის-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი.

4. **მიქელაძე** რუსუდან სოლომონის ასული — საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

5. **წერეთელი** ალექსანდრა იოსების ასული — თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსი მასწავლებელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 27 ოქტომბერი.

ქუთაისი. აბრეშუმის კომბინატი. პირველი საქსოვი საამქროს მქსოველი რუსუდან ლონდარიძე, რომელიც საწარმოო დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** რ. ლონდარიძე თავის დაზგასთან.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხე ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. რევოლუციამდე აქ ცხოვრების აუტანელი პირობები იყო. ხალხი ცხოვრობდა ნესტიან მიწურებში, არა ჰქონდათ წყალი, განათება.

ამჟამად ახალციხე კეთილმოწყობილი, კულტურული რაიონული ცენტრია. აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი. ქუჩები და სახლები განათებულია ელექტროშუქით. ქალაქის შუაგამყოფ მდინარე ფოცხოვზე აგებულია კაპიტალური ხიდი. სოფელ ურავლიდან გაყვანილია წყალსადენი. ქალაქი უზრუნველყოფილია სუფთა სასმელი წყლით.

მარტო მიმდინარე წელს ქალაქს შეემატა 3 ახალი სკვერი, დაირგო 16.000 ძირი ალვისხე, ჭადარი, მწვანე ბუჩქები, მოკირწყლულია 4.000 კვადრატული მეტრი ქუჩა და 2.500 კვადრატული მეტრი ტროტუარი. 1.000 გრძივ მეტრზე ქუჩებს გაუკეთდა ქვის ბორდიურები, 4.300 კვადრატულ მეტრზე დააგეს ასფალტი. რეკონსტრუირებულია მახარაძის, ლენინის და შაუმიანის ქუჩების ტროტუარები.

კაპიტალურად შეკეთდა მდინარე მარდაზე გადასასვლელი 2 ხიდი და მაიაკოვსკის ქუჩაზე ერთი ხიდი.

ახალი საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

გორი. (საკ. კორ.). მეცადინეობა დაიწყო ბამბეულის ქსოვილის კომბინატთან წელს ახლად შექმნილ საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში. სკოლის ოთხივე განყოფილებაზე — სართავზე, საფთილზე, სავარცხნ-საჩეჩსა და საქსოვზე 80 მოსწავლეა.

ამ დღეებში სკოლას გადაეცა ახალი სასწავლო შენობა.

საგზოთა მშენებლობა

შევქმნათ ქალაქის გარშემო ბოსტნეულის მძლავრი მეურნეობა

მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქ რუსთავში უაღრესად დიდია მოთხოვნილება ბოსტნეულზე. რუსთავის მშრომელებს სურთ, რომ მათს სუფრას მთელი წლის განმავლობაში ამშვენებდეს ახალი ბოსტნეული.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ქალაქის მშენებლობის დაწყებისთანავე მის განაპირა უბნებში შეიქმნა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის დამხმარე მეურნეობანი, რომელთა საერთო ფართობი ამჟამად 240 ჰექტარამდე აღწევს. აქედან ბოსტნეულს 170 ჰექტარი უკავია. აქ მოჰყავთ კომბოსტო, პომიდორი, ბადრიჯანი, ჭარხალი, სტაფილო, კიტრი და სხვ. მაგრამ ეს მეურნეობანი არსებულ შესაძლებლობას მთელი სისრულით ვერ იყენებენ. ამიტომ ქალაქის მცხოვრებთა გაზრდილი მოთხოვნილება ბოსტნეულზე მხოლოდ ნაწილობრივ კმაყოფილდება. დამხმარე მეურნეობები რუსთავის სავაჭრო ქსელს მცირე რაოდენობით აწვდიან ახალ ბოსტნეულს. განსაკუთრებით ცუდად მარაგდება მუშათა სასადილოები. ისინი ბოსტნეულს ზაფხულშიც კი ვერ იღებენ საჭირო რაოდენობით. უფრო მეტი დაბრკოლებებია ზამთრის თვეებში, როცა მწვანილიც კი ძნელი საშოვნელი ხდება და რუსთავის მცხოვრებლები მის შესაძენად თბილისში მიდიან. რუსთავის კლიმატური პირობები კი საშუალებას იძლევა ბოსტნეულის მოსავალი თითქმის მთელი წლის განმავლობაში იქნას მიღებული. უფრო ხელსაყრელი პირობებია სასათბურე მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ სათბურთა ქსელის გაფართოებისათვის დღემდე არავინ ზრუნავს.

სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ქალაქის დამხმარე მეურნეობებში რატომღაც სულ არ მოჰყავთ კარტოფილი, რასაც იმით ხსნიან, რომ კარტოფილი თითქოს ვერ ეგუება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს. ამ მოსაზრების ავტორები დიდად ცდებიან. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ აკადემიკოს ტ. ლისენკოს მიერ შემუშავებული ახალი მეთოდი — კარტოფილის ზამთრისწინა დარგვა რუსთავის პირობებში უეჭველად კარგ შედეგს მოგვცემს.

დამხმარე მეურნეობათა ზოგიერთ ბრიგადას ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოჰყავს, მაგრამ არიან ბრიგადები, რომლებიც იმავე პირობებში დაბალ მოსავალს იღებენ. მაგალითად, მეტალურგიული ქარხნის დამხმარე მეურნეობის ერთმა ბრიგადამ ჰექტარზე 90-ის ნაცვლად 120 ცენტნერი კიტრი მოიყვანა, ხოლო დანარჩენმა ბრიგადებმა კიტრის მოსავალი გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლები მიიღეს. ამავე მეურნეობაში პამიდორის, საადრეო კომბოსტოს და ზოგიერთი სხვა სახის ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღეს, ბადრიჯნის, სტაფილოს, საზამთროს მოსავალი კი არც თუ სახარბიელო იყო. ანალოგიური ფაქტები ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის დამხმარე მეურნეობებში ყველა ბრიგადა თანაბარი ნაყოფიერებით არ შრომობს, ამასთან აქ პრაქტიკაში არა აქვთ შემოღებული მოწინავე მებოსტნეთა მუშაობის გამოცდილების ყველას საკუთრებად გადაქცევა. ბოსტნეულისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების დამუშავება, გარდა ხვნისა, მთლიანად ხელით სრულდება, რის გამო ხშირად მუშახელი არ ჰყოფნით აგრონომიული წესების ზუსტი დაცვით ნაკვეთების დასამუშავებლად. არის შემთხვევები, როცა ბოსტნეულის ნაკვეთებში დროულად ან სულ არ შეაქვთ მინერალური სასუქი, ნაკლებად ზრუნავენ აგრეთვე ერთ ნაკვეთზე ბოსტნეულის ორი მოსავლის მისაღებად. ამასთან არ ცდილობენ ადგილზე დაამზადონ ბოსტნეულის ჯიშიანი თესლი. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის დამხმარე მეურნეობის ტერიტორიაზე 60 ჰექტარამდე ფართობი ბუჩქებით არის დაფარული. მისი ათვისება საგრძნობლად გააფართოებდა ბოსტნეულის მეურნეობას. შეკეთებას მოითხოვს დამხმარე მეურნეობათა შიდა გზები და ბოგირები, მაგრამ ამ სასარგებლო საქმის მოგვარებაზე არავინ ფიქრობს.

რუსთავის მცხოვრებთაგან 600 ოჯახზე მეტი ინდივიდუალურ მებოსტნეობას მისდევს, რაც საგრძნობლად უწყობს ხელს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ინდივიდუალურ მებოსტნეებს ნაკლებად ვეხმარებით მოწინავე აგროწესების შესწავლა-დანერგვაში.

საჭიროა აქედანვე იქნას მიღებული ზომები როგორც დამხმარე მეურნეობების, ისე ინდივიდუალური მებოსტნეობისათვის ახალი მიწების ასათვისებლად, აგრეთვე სასათბურე მეურნეობის გასაფართოებლად. სათბურების გასათბობად შეიძლება გამოყენებულ იქნას მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ორთქლი, რაც ამჟამად ტყუილუბრალოდ იკარგება.

მოკლე ხანში რუსთავის გარშემო უნდა შეიქმნას ბოსტნეულის მძლავრი მეურნეობა, სავსებით დაკმაყოფილდეს ბოსტნეულზე ქალაქის მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილება, ამ საქმისათვის პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

მარიამ თუშიშვილი,
რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, აგრონომი.

მეთევზეთა სახლი

სუხუმი. (საკ. კორ.). დამთავრდა ა. ი. მიქოიანის სახელობის მეთევზეთა კოლმეურნეობის წევრთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თვითეული ბინა კეთილმოწყობილი და რადიოფიცირებულია.

მეთევზეთა ოჯახები უკვე ჩასახლდნენ ახალ ბინებში.

რედაქციის ფოსტიდან

პასუხი მკითხველთა

ზოგიერთი ორგანიზაცია და დაწესებულება, რომლებსაც რედაქცია შესამოწმებლად უგზავნის მამხილებელ წერილებს, გულგრილად ეკიდება პასუხის ტექსტის შედგენას, დაუდევრად ეპყრობა ქართულ ენას, ამახინჯებს მას. ამის ნიმუშად მოგვყავს პასუხი-გამოცანა, რომელიც მივიღეთ დუშეთის რაიონული მილიციის უფროსის ამხ. მარგველაშვილისაგან:

„გაცნობებთ, რომ სოფ. ფასანაურში მცხოვრები ალექსანდრე ანდრიას-ძე ქავთარაძე მართალია მაჟარითის(?!) დაჯახების შედეგად გარდაიცვალა ა/წლის 12-ივლის ღამით საფ. სამხედრო გზაზე, წერილის დამწერს ვერ დაუხსომებია ივნისში იყოთუ ივლისში ჩადენილი დანაშაული.

ა/წლის 6-ოქტომბერს საღამოს 8-საათზე სოფ. ფასანაურში ვინმე უცნობი მანქანის მძღოლის მიერ, მანქანის დაჯახების შედეგად მოკლული იქნა აფციარი (?) კონსტანტინე გაბრიელის-ძე, რომლის მკვლელი აღმოუჩენელია, ჩვენს მიერ გამოძიება (?) ჩატარებული იქნა, როგორც ქავთარაძის ისე აფციაურის მკვლელობების გამო, მაგრამ მკვლელები ჯერ დუდგენელია.

რაც შეეხება მას, რომ ადგილზე არ მივდიოდეთ და ასეთი შემთხვევების ყურადღებას არ ვაქცევდეთ არ შეეფერება სიმართლეს წერილში მოცემული ორივე შემთხვევები, რომელიც მომხდარია სამხედრო გზაზე გამვლელი მანქანების მიერ ღამით მომხდარი შემცთხვევა მოითხოვს საანალიზო ოპერატიულ ღონის-ძიების გატარებას, რომელსაც ჩვენ ვატარებთ მბრძოლველი პირების აღმოსაჩენად.

საქ. შსს. დუშეთის რაი მილიციის უფროსი
მაიორი: **მარგველაშვილი.**
შემსრ. **ბოჭორიშვილი“.**

ძნელია გაიგო, რის თქმა სურს ამხ. მარგველაშვილს ამ მიკიბულ-მოკიბული პასუხით. ქართული ენის ამაზეა აგდება დანაშაულია და იგი არავის ეპატიება, მათ შორის არც რაიონული მილიციის უფროსს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უინიციატივოდ, ზერელედ“

პარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი პრესის მიმოხილვა „უინიციატივოდ, ზერელედ“, რომელშიც მეცხოველეობის განვითარების საკითხებს სუსტად გაშუქებისათვის გაკრიტიკებული იყო თეთრი წყაროს რაიონული გაზეთი „საკოლმეურნეო გზა“.

რაიკომის ბიურომ დადასტურებულად ცნო მიმოხილვაში მოყვანილი ფაქტები. აღინიშნა, რომ რაიონული გაზეთი სერიოზულ ანალიზს არ უკეთებს მეცხოველეობის განვითარების დარგში არსებულ ნაკლოვანებებს, არ იძლევა მათი აღმოფხვრისათვის საჭირო საქმიან რჩევა-მითითებებს. გაზეთში მოთავსებული მასალები მეტწილად ინფორმაციული ხასიათისაა, რაც გამოწვეულია იმით, რომ რედაქციის მუშაკები ტელეფონით მიღებული მასალებით ავსებენ გაზეთს, ნაკლებად დადიან კოლმეურნეობებში, სუსტად მუშაობენ სოფლის კორესპონდენტებთან. რაიკომის ბიურომ აღნიშნა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ეხმარება გაზეთის რედაქციას, რომ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ნაკლებად მონაწილეობენ გაზეთის მუშაობაში.

რაიკომის ბიურომ გაზეთ „საკოლმეურნეო გზის“ რედაქციას დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი ბავშვს გულწრფელად უნდა აღელვებდეს

მსოფლიოში პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ღრმა შინაარსიანი და იდეურად მდიდარი საბავშვო ლიტერატურა. მისი მებაირახტრე დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი იყო. იგი გატაცებით წერდა ბავშვებისათვის, ბავშვებზე, და ეს მწერლის უაღრესად პასუხსაგებ, კეთილშობილურ მოვალეობად მიაჩნდა. მართლაც, რაოდენ საპატიო და დიდმნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდა, მის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში წვლილის შეტანა!

სულ მცირე ასაკიდანვე იკვეთება ადამიანის ხასიათი, შეხედულება ცხოვრებაზე, ჩვევები, უვითარდება მას მხატვრული გემოვნება, სიმშვენიერის შეგრძნება, მშობლიური ენის სიყვარული. სწორედ ამის გამო აუცილებელია საბავშვო ნაწარმოები იყოს იდეურად ნათელი, მორალურად წმიდა, მისი შინაარსი ჰარმონიულად შეეხამებოდეს ოსტატურად სრულყოფილ ფორმას. ასეთი ნაწარმოებები უმალვე მოიხვეჭენ უაღრესად გულისხმიერი, გულწრფელი, უშუალო და ამავე დროს ძალიან მომთხოვნი ნორჩი მკითხველის სიყვარულს.

დიდი ხანი არ არის, რაც საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა დ. გაჩეჩილაძის საბავშვო ბალადები და პოემები. ისინი ბავშვებს პატრიოტიზმზე, მშვიდობისათვის ბრძოლაზე მოუთხრობენ, სწავლისა და გმირობისაკენ მოუწოდებენ.

პოემაში „მზვერავი კიმ ენ ვანი“ ავტორი ხატავს პატარა კორეელი პატრიოტის დაუვიწყარ სახეს. მკითხველი თავიდანვე უსაზღვროდ იყვარებს სამშობლოსათვის თავდადებულ, უშიშარ ნორჩ პარტიზანს, ოცლავს, ღრმად განიცდის ყველა მის განსაცდელს, უხარია, ჭეშმარიტად ზეიმობს, როცა შეიტყობს პატარა გმირის გადარჩენის ამბავს.

ეს პოემა ადასტურებს, რომ ბავშვისათვის დაწერილი წიგნები ნამდვილ წარმატებას აღწევენ, როდესაც მწერალი აყენებს და ხსნის აქტუალურ მორალურ პრობლემებს.

ნორჩი მკითხველების სიმპათია დაიმსახურეს ლექსებმა, რომლებშიც პოეტი ზოგიერთი ბავშვის ცუდ საქციელს კიცხავს, არიგებს, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ შინ და გარეთ. მათ შორის აღსანიშნავია „ჩხიკვის ბრალია“, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ და ა. შ. ეს ლექსები დამაჯერებელი დიდაქტიზმის მაგალითია, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში, განსაკუთრებით პროზაულ ნაწარმოებებში, იშვიათად გვხვდება.

მეტ წილ შემთხვევებში საბავშვო წიგნებში დიდაქტიზმი მშრალი და ფორმალური. მორალის კითხვის სახეს ატარებს, დიდაქტიკურ დებულებათა ცივ და უსულგულო ილუსტრაციას წარმოადგენს. უდავოა, რომ საბავშვო ნაწარმოები სამეცნიერო-პედაგოგიურ საფუძველზე უნდა იქმნებოდეს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი პედაგოგიური წესების მშრალ ილუსტრაციად გადავაქციოთ. ამის მაგალითის მოყვანა კი მრავლად შეიძლება.

იმავე გამომცემლობის მიერ გამოშვებულ ლ. ჭიჭინაძის წიგნში „თანაკლასელები“ შეტანილია მოთხრობები „ნამდვილი მეგობარი“, „მატყუარა მანანა“, „ბაღში“, „სამახსოვრო გაკვეთილი“. მათში ბავშვების სხვადასხვა უწესო საქციელზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს ნორჩ მკითხველს არ აღელვებს, რადგან აღწერილია მშრალად, სქემატურად. ბავშვი ვერ ასწრებს აღელვებას, ისე სწრაფად, ყოველგვარი სიძნელის გარეშე სწორდებიან ამ მოთხრობების უარყოფითი გმირები. არატიპიური, მაგრამ დასაშვები ხასიათის გამოკვეთისას მწერალი მოვალეა ნათლად უჩვენოს მისი უარყოფითი მხარეები, გაიცინოს, დასცინოს, დაუპირისპიროს იგი საზოგადოების გარკვეულ წრეს, პიროვნებებს, დახატოს უარყოფითი ტიპის გამოსწორების დამაჯერებელი პროცესი. ლ. ჭიჭინაძე ასე არ იქცევა.

ასეთივე ნაკლოვანება ახასიათებს კ. გოგიაშვილის „საბავშვო მოთხრობებში“ დაბეჭდილ მოთხრობას „დამრიგებელი“. სწავლაზე გულაცრუებულ, უაღრესად უდისციპლინო მოსწავლე ირაკლი ფუტკარაძეზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მშობელთა კრება. უდავოა, საზოგადოებრივ აზრს, მით უმეტეს მოზრდილთა აზრს, ბავშვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მწერალმა ეს კრება ცუდად აღწერა.

კრების თავმჯდომარემ მოსწავლეს მისცა სიტყვა. ამ დროს ერთმა მშობელმა წამოიძახა „ჯერ მშობლებს ვაცალოთ“. გახარებული მოსწავლე დაჯდა. ლაპარაკობდნენ მშობლები. შემდეგ მასწავლო ნაწილის გამგემ „გაჯავრებულმა“ დაიძახა“:

„— ფუტკარაძე, ადექი“.

ვიდრე იგი ლაპარაკს დაიწყებდა, „ვიღაცამ წამოიძახა“:

„— მაგას დირექტორის კაბინეტში უფრო მეტი დრო აქვს გატარებული, ვიდრე საკლასო ოთახში“.

დაიწყო თუ არა ლაპარაკი ფუტკარაძემ, რაღაც „წამოიძახა გურამმა“, შემდეგ „მოაძახა დამრიგებელმა“ (ტერმინი დამრიგებელი დიდი ხანია არ იხმარება, უნდა იყოს კლასის ხელმძღვანელი), „ჰკითხა დედამ“, „ჩაილაპარაკა თამარმა“, „მოაძახა ახლომჯდომმა“. ამის ჩამოთვლაც საკმარისია, რომ ნათელი გახდეს, თუ რას წარმოადგენდა ეს კრება, რომლის შემდეგ ყოველმხრივ უწესო ბავშვი სანიმუშო გახდა (?!).

ნორჩი მკითხველი გრძნობს ამ მოთხრობაში ნაძალადეობას, მწერლის შთანაფიქრის ხელოვნურობას, ამიტომაც არ სწამს წაკითხული, არ განიცდის მის გავლენას.

ლ. ჭიჭინაძისა და კ. გოგიაშვილის ეს მოთხრობები გამონაკლისი როდია. ჩვენს საბავშვო წიგნებში ძალიან ხშირია იოლი გამოსწორების ფაქტები. მწერლები ერიდებიან დაბრკოლებათა ჩვენებას, რთული ფსიქოლოგიური განცდების აღწერას. ისინი უმეტესად ცდილობენ გმირს სწრაფად მოამორონ ნაკლოვანებები. ბავშვები ადვილად, ყოველგვარი სიძნელისა და დაძაბვის გარეშე ხდებიან სამაგალითონი, ნამდვილი, დიდი სიხარულის გარეშე აღწევენ ამ წარმატებას. ეს უქმნის ნორჩებს ცხოვრებაზე, შრომაზე, სწავლაზე იოლ წარმოდგენას, იწვევს მის შეუფასებლობას, ზოგჯერ უპატივცემლობასაც.

ბავშვები ცხოვრებაში ხვდებიან სიძნელეებს, წარსულის გადმონაშთებს, მავნე ჩვევებს, მანკიერ მოვლენებს. ლიტერატურა ხელს უნდა უწყობდეს გაერკვნენ მათში, ნათლად დაინახონ და არ მიჩქმალონ უარყოფითი მოვლენები.

რეალურ კონფლიქტებს თვითეული სკოლის ცხოვრებაში მრავლად ვხვდებით. ჯერ კიდევ ბევრია ზარმაცი, უდისციპლინო, უხეში, მშიშარა, მატყუარა, ცრუმორწმუნე. ამაზე საბავშვო ლიტერატურა თვალს ვერ დახუჭავს და სწორედ უარყოფით მოვლენებზე წერისას საჭიროა განსაკუთრებული ოსტატობა, დამაჯერებლად წერა.

სინამდვილის შელამაზება საჭირო არ არის. ჩვენი ცხოვრება იმდენად მდიდარი, მრავალფეროვანი და წარმტაცია, რომ ყოველ ნაბიჯზე მწერალს ფართო შესაძლებლობა აქვს შესანიშნავად დახატოს ნათელი, რეალური სურათები. ასეთი ნაწარმოებები ყოველთვის გამარჯვებას აღწევს, მკითხველთა მოწონებას იმსახურებს. ლ. ჭიჭინაძისა და კ. გოგიაშვილის წიგნებში არის რამდენიმე ასეთი მოთხრობა.

ლ. ჭიჭინაძის „პატარა გმირი“, „ამხანაგს დაეხმარა“ და „სახსოვარი“, კ. გოგიაშვილის „პარტიზანის ნაამბობი“ და „ვახტანგის შეცდომა“ ინტერესით იკითხება. ამ ავტორებს მოუხერხებიათ პატარა მოთხრობების ფაბულის მარჯვედ გაშლა, დაძაბული სიუჟეტის შერჩევა. ამ მოთხრობებში მოყოლილი ამბავი მთლიანად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. განსაკუთრებით იტაცებს ბავშვებს „პატარა გმირი“ და „პარტიზანის ნაამბობი“. ცნობილია, როგორ უყვართ ნორჩებს ყველაფერი გმირული, როგორ ოცნებობენ ისინი დიდ და კეთილშობილურ საქმეებზე, რაოდენ სურთ მიბაძონ უშიშარ, მამაც ადამიანებს. სწორედ ამიტომ იმსახურებს ეს მოთხრობები მათს გულწრფელ მოწონებას.

ამავე მიზეზით ხვდა წარმატება გ. თაქთაქიშვილის მოთხრობას „სამთა მაშხანა“. ამ პატარა ნაწარმოებში კარგად არის ჩამოყალიბებული გმირთა ხასიათები, საინტერესო ეპიზოდები ცვლიან ერთმანეთს და მკითხველზე გარკვეულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ. მის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება სამი თავდადებული ახალგაზრდა მებრძოლის, საბჭოთა კავშირის გმირების ვახტანგ ბასილაძის, მიკოლა დიდენკოს და პეტროვის დიადი ბუნება. დაუვიწყარი არიან რამდენიმე კარგად მოძებნილი შტრიხით დახატული ვახტანგის მამა და საცოლე.

სამშობლოსათვის, მისი ბედნიერებისათვის თავდადების კეთილშობილური იდეა უდევს საფუძვლად ამ მოთხრობას. ეს არის ამავე ავტორის ერთ-ერთი მოთხრობის „როკე და ჰილის“ ლეიტმოტივიც.

სოლიდარული გრძნობით აღზრდილი ჩვენი ბავშვები უდიდეს ინტერესს იჩენენ მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი. მათ აღელვებს კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდების მძიმე ხვედრი, ახარებს მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში მოპოვებული ყოველი წარმატება.

„როკე და ჰილში“ მწერალი ფრანკისტული ესპანეთის შესახებ მოგვითხრობს. მოთხრობის თითქმის ყველა გმირი იღუპება აუტანელი ცხოვრებისაგან ან მასთან ბრძოლაში, მაგრამ მკითხველი დარწმუნებულია ჭაბუკი ჰილის იმ სიტყვების რეალობაში, რომ „მტრები ვერ შეძლებენ გაანადგურონ ყველა, ვინც იარაღს არ ყრის და ვისაც არ სურს დამორჩილება. ესპანელი ხალხი მუხლებზე არ დაიჩოქებს“.

ჩვენი ბავშვები მგზნებარე პატრიოტები არიან. მათს სულსა და გულს ღრმად სწვდება ნაწარმოებები სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებზე, ბრძოლასა და შრომაში შეუპოვრობაზე. ისინი მხურვალედ ეწაფებიან წიგნებს, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში გაზრდილ დიდ შემოქმედებით საქმიანობაზე, კომუნიზმის მშენებლობაზე მოუთხრობენ.

სამგორის მიწაზე ახალი ცხოვრების დამკვიდრებას შეეხება რ. ელანიძის მოთხრობა „სიცოცხლის დაბრუნება“. წიგნი საინტერესოდ იკითხება. მწერალს ეხერხება ბუნების სურათების დახატვა, იცნობს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს. განსაკუთრებით მიმზიდველი ფერებით არის მოცემული მომავალი სამგორის მაღალმხატვრული ესკიზი, მაგრამ მოთხრობას აქვს ერთი დიდი ნაკლი: მწერალს მეორეხარისხოვნად მიუჩნევია ხალხი, ადამიანები, რომლებიც სახეს უცვლიან, იმორჩილებენ ბუნებას, ჭედენ ახალ, ზედნიერ ცხოვრებას. საკმაოდ დიდი ზომის მოთხრობაში რ. ელანიძემ ვერც ერთი გმირის სახის ჩამოყალიბება ვერ მოახერხა. მისი პერსონაჟები ძალიან სქემატური არიან, მკითხველს მეხსიერებაში არ რჩებიან. ავტორმა სათანადოდ ვერ განახორციელა კარგი იდეა — პატარებისათვის ეჩვენებინა უფროსების თავდადებული შრომა.

საბავშვო ლიტერატურა როგორც შინ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის მიმართვა საფრანგეთის ეროვნული კრებისადმი

ბერლინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). აღნ-ის საგენტო გადმოგცემს საფრანგეთის ეროვნული კრებისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის მიმართვის სრულ ტექსტს.

მიმართვაში ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი იზიარებს იმ შიშს, რომელიც სულ უფრო ძლიერ მეცლებდა საფრანგეთის საზოგადოებრიობაში დასავლეთ გერმანიის ამბების სიშიში განვითარების გამო. საფრანგეთის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის შიშს, რომ მას ახალი აგრესია ემუქრება რევანშს მოწყურებული გერმანული მილიტარიზმის მხრივ, სამწუხაროდ, საფუძველი აქვს. ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმი, რომელსაც გულწრფელად სურს ხელი შეუწყოს ხალხთა სამართლიანი სურვილის შესრულებას, რომ ევროპაში მტკიცე მშვიდობა დამყარდეს, და რომელსაც ამოქმედებს ჩვენი გერმანელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, მიმართავს დიდი ფრანგი ერის რჩეულ წარმომადგენლებს, საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარესა და დეპუტატებს.

თუმცა ფაშისტური გერმანიის სახელმწიფოს განადგურების მომენტიდან სულ რამდენიმე წელიწადი გავიდა, მაგრამ დასავლეთ გერმანია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების აქტიური მხარდაჭერით კვლავ იარაღდება გერმანელი ხალხის ნების წინააღმდეგ. რევანშისტი პოლიტიკოსები, როგორიც არიან ბ-ნი ადენაუერი და ჰიტლერელი გენერლები, სამხედრო დამნაშავე კესელრინგი, ყოველმხრივ ემზადებიან ახალი ვერმახტის შექმნისათვის.

უკვე დღეს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული წრეები აშკარად აცხადებენ თავიანთ რევანშისტულ გეგმებს, რომლებიც მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგაც. მაშინ როცა ჰიტლერი საფრანგეთის წინააღმდეგ აგრესიას ახორციელებდა „ევროპის ახალი წესრიგის“ ლოზუნგით, ამ პოლიტიკას ახლა ადენაუერის მთავრობა ახორციელებს „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების“ და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ნიშნით, რაც, მხოლოდ და მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ საფრანგეთი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები დაუმორჩილონ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ.

დასავლეთ გერმანიის რევანშისტი პოლიტიკოსები კვლავ მოითხოვენ საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის, და უწინარეს ყოვლისა ელზასისა და ლორენის ანექსიას. ბონის მთავრობის ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით ელზასსა და ლორენში ღვივდება სუბარატისტული მოძრაობა.

დასავლეთ გერმანიის გელენის „აუშუშური ორგანიზაცია, რომელსაც ფაშისტი ოფიცრები ხელმძღვანელობენ, თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ, არამედ საფრანგეთის წინააღმდეგაც. დასავლეთ გერმანიის მთავრობის პარტიების პრესაში სულ უფრო აშკარად ვრცელდება შეურაცხმყოფელი და მტრული განცხადებანი ფრანგი ხალხის წინააღმდეგ. ბონის მთავრობა არ ერიდება ცდებს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას ყოველ ვითარებაში მოახვიოს თავს პარიზის სამხედრო ხელშეკრულება.

ჩვენ, დემოკრატიულად განწყობილი და მშვიდობისმოყვარე გერმანელები, ვგმობთ ამ ავანტიურისტული პოლიტიკის მიზნებსა და მეთოდებს იმიტომ, რომ მას მძიმე შედეგები მოჰყვება გერმანელი ხალხისათვის.

ზემოთ მოყვანილი ცრობები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ხალხთა სუვერენიტეტს, განსაკუთრებით ფრანგი ხალხის სუვერენიტეტს სერიოზული საფრთხე მოელის გერმანიის მილიტარიზმის მხრივ. ეს საფრთხე კიდევ უფრო სერიოზული გახდება, თუ დასავლეთ გერმანიის მმართველ წრეებს ეყოლებათ შეიარაღებული ძალები, რომელთა სარდლობა იმ ოფიცრების ხელში იქნება, რომელნიც ჯერ კიდევ 10 წლის წინათ მეთაურობდნენ ჰიტლერის ფაშისტურ ინტერვენციონისტულ ჯარებს საფრანგეთში.

ისტორიის მწარე გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ გერმანიის მილიტარიზმი მუდამ ემუქრებოდა გერმანიის მეზობელ ქვეყნებს, აგრეთვე ევროპის უშიშროებასა და მშვიდობას. დასავლეთგერმანელი მილიტარისტების გეგმა ის არის, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ნიშნით შექმნან დასავლეთ ევროპაში ფრონტის ხაზი და მოსწყვიტონ საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები ევროპის სხვა ქვეყნებს.

დღითიდღე აშკარა ხდება, რომ ევროპის არმიის ჩამოყალიბების თავკარი მიზანი სწორედ დასავლეთ გერმანიის რეგულარული შეიარაღებული ძალების შექმნაა. ევროპის არმიაში ბონის სახელმწიფოს მონაწილეობა იმის შესაძლებლობას აძლევს გერმანიის მილიტარიზმს, რომ გააჩაღოს ახალი აგრესია მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების ხალხების წინააღმდეგაც, რომელნიც გერმანიის დასავლეთი მეზობლები არიან. ბონელი მილიტარისტები იმედოვნებენ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების საშუალებით ჩაითრიონ საფრანგეთი ახალ ავანტიურაში, რომელიც ჩვენი ორივე ხალხისათვის მხოლოდ გაჭირვების, უბედურებისა და ახალი უაზრო მსხვერპლის მომასწავებელი იქნებოდა.

შეგნებული აქვთ რა ეს საფრთხე, ევროპის მშვიდობისმოყვარე ძალები გადაჭრით გმობენ „ევროპის არმიის“ შექმნისადმი მისწრაფებას. მათი მტკიცე ბრძოლა ბონის სახელმწიფოს რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ფრანგი ხალხის ბრძოლა, ფასდაუდებელი დამარცხაა გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალებისთვისაც.

ამიტომ პატრიოტული ძალები იბრძვიან უწინარეს ყოვლისა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რადგან იგი არათუ ხელს არ უწყობს ფრანგ ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მშვიდობიანი და კეთილშობლური ურთიერთობის დამყარებას, რაც შეესაბამება ორივე ხალხის უშუალო სასიცოცხლო ინტერესებს, არამედ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის ახალი სამხედრო კონფლიქტების საფრთხეს იწვევს.

ამიტომ გერმანელი ხალხისა და ფრანგი ხალხის საერთო ინტერესები მშვიდობის შენარჩუნებისა და კეთილშობლური ურთიერთობის დამყარების საქმეში მოითხოვენ უარყოფილ იქნას ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შესახებ. ამით ერთბაშად შეიქმნებოდა იმის ხელსაყრელი შესაძლებლობა, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება და უზრუნველყოფა, რისთვისაც უწინარეს ყოვლისა საჭიროა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება მნიშვნელოვნად შეესაბამება უშიშროების, განსაკუთრებით ფრანგი ხალხის უშიშროების სამართლიან ინტერესებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საფრანგეთის უშიშროება შეიძლება აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან ურთიერთგაგების გზით, იმ მიზნითა და სერიოზული სურვილით, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხის სამართლიანი სურვილის შესაბამისად თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მუდამ მიაჩნდა ფრანგ ხალხთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

გაითვალისწინა რა უდიდესი პასუხისმგებლობა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა 1952 წლის 12 ნოემბერს განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მხრივ ვერასოდეს ვერ მოითმენს, რომ გერმანიამ ოდესმე კვლავ აწარმოოს ომი ფრანგი ხალხის წინააღმდეგ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ხალხთა შორის ურთიერთგაგება ერთმანეთის სუვერენიტეტის ურთიერთ აღიარების საფუძველზე შესაძლებელია და დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში უშიშროების განმტკიცებისა და მშვიდობის დამყარებისათვის.

ასეთი ურთიერთგაგება, უეჭველია, პოვებდა ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხალხების სოლიდარობასა და მხარდაჭერას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმი მოუწოდებს საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას — გაერთიანდეს ფრანგი ხალხისა და გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნას ხელახალი შეიარაღება დასავლეთ გერმანიისა, სადაც აგრესიული ძალები ბატონობენ. ერთობლივი ბრძოლის ეს საჭიროება უკვე იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ გერმანიის მილიტარიზმი უარესად სერიოზულად ემუქრება როგორც გერმანელ, ისე ფრანგ ხალხს, დასასრულ, საჭიროა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ერთობლივი მოქმედებით ბოლო მოვუღოთ გერმანიის მილიტარიზმის უგუნურ პოლიტიკას, რომელიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე უაღრესად სერიოზულად არღვევს ფრანგი ხალხის არსებობას და ერთი კატასტროფიდან მეორე კატასტროფამდე მიუყვანია გერმანია.

ჩვენი აზრითა და რწმენით, ჩვენი ორივე ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალებმა ახლა მაინც საბოლოოდ უნდა გამოიტანონ დასკვნა ისტორიის გაკვეთილებიდან — რომ საჭიროა დროზე დავიწყოთ ბრძოლა გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ და რომ ჩვენი ურთიერთობის ყველა საკითხზე მოლაპარაკების გზით შეიძლება დამყარდეს მეგობრული, კეთილშობლური დამოკიდებულება ჩვენს ხალხებს შორის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმს ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების გზად მიაჩნია ახლო მომავალში გათვალისწინებული მოლაპარაკება დიდი სახელმწიფოებისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ და განსაკუთრებით მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ უაღრესად გულწრფელი სურვილი, რომ ჩვენი ორივე ხალხის მშვიდობის ძალების ღონისძიებანი გაერთიანდეს ამ დიადი მიზნების მისაღწევად!

ერწმუნეთ ჩვენს ულრმეს პატივისცემას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმი

დოქტორი დიმანი

თავმჯდომარე

ბერლინი, 1953 წ. 5 დეკემბერი.

ირანისა და ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების გამო

თეირანი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „შაჰედი“ მოწინავე სტატიაში წერს, რომ ირანელი ხალხის უმრავლესობა პროტესტს აცხადებს ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ. ამავე დროს გაზეთი რწმენას გამოთქვამს, რომ ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ვერ შეაჩერებს ირანელი ხალხის ეროვნულ მოძრაობას, რომ ეს გააძლიერებს ხალხის სიფხიზლეს და დარაზმავს მას შემდგომი ბრძოლისათვის.

— ირანელი ხალხი, — წერს გაზეთი, — არ დაუშვებს, რომ ყოფილმა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ ან მისმა მსგავსმა კომპანიებმა კვლავ შექმნან სახელმწიფო სახელმწიფოში და განაგრძონ მისი ექსპლოატაცია.

ამავე გაზეთს მოჰყავს ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტებთან ირანის თვალსაჩინო პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწის ქაშანის 5 დეკემბრის საუბრის ნაწყვეტები; ამ საუბრის შინაარსის მოთავსება გაზეთებში თითქოს აკრძალული იყო.

როგორც გაზეთი წერს, ამ საუბარში ქაშანიმ განაცხადა, რომ „მთელი ხალხი, ინგლისის ერთ მუჭა დაქირავებულთა გარდა, დიდ აღშფოთებას გამოთქვამს ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების გამო“ და რომ ეს ღონისძიება „უკანონოა“.

„შაჰედი“ ათავსებს აგრეთვე „მუსლიმან მოჯაჰიდების საზოგადოების“ განცხადებას. ისინიც პროტესტს აცხადებენ „დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგ, სანამ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა ნავთობის საკითხი ირანელი ხალხის სასარგებლოდ“.

გაზეთი „ენკელიაბე კავე“, რომელიც „შეფაგეე ენკელიაბის“ ნაცვლად გამოვიდა, მოწინავე სტატიაში წერს, რომ ინგლისთან დიპლომატიურ ურთიერთობას აღადგენენ იმ დროს, „როცა ირანში არ არის მეჯლისი“, ხოლო „მართლისმოქმელი და თავისუფლებისმოყვარე გაზეთები აკრძალულია“, როცა ირანში მიმდინარეობს „სასაციილო სასამართლო პროცესები“, რათა „ჩაახშონ ირანელი ხალხის ანტიკოლონიზატორული მოძრაობა“ და როცა ირანში „აღარ არიან პარტიები და პროფკავშირები“.

ირანელმა ხალხმა იცის, განაგრძობს გაზეთი, რომ ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლება გამოიწვევს „ჩარევას ირანის საშინაო საქმეებში, ირანის ნავთობის ხელში ჩაგდებას“, ინგლისის იმ გეგმების განხორციელებას, რომელთა მიზანია ირანელი ხალხის ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის მოსპობა, გამოიწვევს იმ უბედურებისა და დანაშაულობის განახლებას, რაც უკანასკნელ 50 წელიწადში ხდებოდა.

ირანელი ხალხის ბრძოლა, წერს დასასრულ გაზეთი, გაგრძელდება გამარჯვებამდე, — მანამდე, სანამ „ბოლო არ მოეღება ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულობას“.

ირანული ჟურნალი ირანში ნიქსონის მომავალი ჩასვლის შესახებ

თეირანი, 5 დეკემბერი. (საკდესი). როგორც თეირანის გაზეთები იუწყებიან, ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 6 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ფარაში ჰენდერსონი კარაჩს გაფრინდება ნიქსონის შესახვედრად. კარაჩში ორ დღეს ყოფნისა და მოლაპარაკების შემდეგ 9 დეკემბერს ჰენდერსონი ნიქსონთან ერთად თეირანს ჩამოვა.

ჟურნალი „თეჰრანე მოსავარი“, იმოწმებს რა ამერიკის საელჩოსთან დაკავშირებული ერთი პირის განცხადებას, წერს, რომ თეირანს ნიქსონის ჩამოსვლა მარტო თავაზიანობის ვიზიტი რომია. ნიქსონს ირანის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკება ექნება ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების, ნავთობის საკითხის გადაჭრის, ირანისათვის ამერიკის „ეკონომიური და სამხედრო დახმარების“ გაწევის, აგრეთვე „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითს ბლოკში“ ირანის მონაწილეობის შესახებ.

„ევროპის არმიის“ შექმნის წინააღმდეგ

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივნის ნორმანის ინტერვიუ

ბერლინი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ფორვერტსმა“ გამოაქვეყნა ცნობა ინტერვიუს შესახებ, რაც გაზეთის წარმომადგენელს მისცა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ფრანგმა ადვოკატმა ნორმანმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ბერლინში იყო. თავის ინტერვიუში ნორმანმა თქვა, თუ როგორ იბრძვიან ფრანგი იურისტები საფრანგეთის დემოკრატიული უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დასავლეთ გერმანიის აგრესიული არმიის შექმნის წინააღმდეგ, რასაც ითვალისწინებს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ.

შეეხო რა სამხედრო ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, ნორმანმა თქვა: ეს ხელშეკრულება ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიულ უფლებათა დარღვევის მკაფიო მაგალითია. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების საშუალებით ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს უნდა წაერთვათ საკუთარი საკანონმდებლო საქმიანობის უფლებები, მათ თავს მოახვევენ ამერიკის სამართალს. მოქალაქენი დაკარგავენ საკუთარი კანონის მხრივ დაცვის უფლებას და დაექვემდებარებიან უცხოეთის თვითნებობას. საფრანგეთში ეს ასე მოხდებოდა:

კონსტიტუციის თანახმად რესპუბლიკის პრეზიდენტი ამავე დროს არმიის მთავარსარდალიც არის. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულებით კი პრეზიდენტი კარგავს ამ უფლებას, პრეზიდენტის განკარგულებაში დარჩება მხოლოდ მისი რეზიდენციის მცველი ჯარები.

ფრანგი იურისტები, განაცხადა დასასრულ ნორმანმა, მთელ ფრანგ ხალხთან ერთად ენერგიულ ბრძოლას ეწევიან... „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულებაზე თანხმობა ფრანგ იურისტებს სახელმწიფოს ღალატად მიაჩნიათ.

ფინეთის სეიმის დათხოვნა

ჰელსინკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). სახელმწიფო საბჭოს დღევანდელ საგანგებო სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა პაასიკივიმ გადაწყვიტა დაითხოვოს სეიმი და 1954 წლის 7 და 8 მარტისათვის დანიშნოს სეიმის ვადამდე არჩევნები.

როგორც ცნობილია, სეიმის მორიგი არჩევნები უნდა მომხდარიყო 1954 წლის ივლისის დამდეგს.

სეულში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრი

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრი ანდერსონი სეულში ჩავიდა ლი სინ მანთან სათათბიროდ.

თბილისი

ოპერის თეატრი

ახალი დადგმები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი სამ ახალ სპექტაკლზე მუშაობს.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები დირიჟორი ო. დიმიტრიადი და რეჟისორი მ. კვალიაშვილი ამზადებენ დიდი რუსი კომპოზიტორის მ. გლინკას ოპერა „ივანე სუსანინს“, რომელიც დიდი ხანია არ დადგმულა თბილისში.

პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ა. ანდრიაშვილის ახალ სიმფონიურ ოპერაზე „ჩხიკვთა ქორწილი“ (ლიბრეტო ნ. ლუხუტაშვილისა). ოპერას დგამს რეჟისორი გ. გელოვანი, დირიჟორია ვ. ფალიაშვილი.

სიმფონიურ კოლექტივი შეუდგა ჩაიკოვსკის „ბედების ტბის“ ახალი დადგმის მომზადებას. ბალეტს დგამს ვ. ჭაბუკიანი.

გეოგრაფიული საზოგადოების გიბლიოთეკა

თითქმის ოცი წელია არსებობს საქართველოს სსრ. გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკა. აქ ინახება გეოგრაფიული ხასიათის შრომები, ცალკეული მონოგრაფიები, გეოგრაფიული რუკები, ატლასები.

ამჟამად ბიბლიოთეკის ფონდი შეიცავს 14.000-ზე მეტ წიგნს. მათ შორის ბევრი იშვიათი და ძველი გამოცემაა, როგორიც არის, მაგალითად, ვახუშტის გეოგრაფია, ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის შრომები, გამოცემული 1735 წელს ამსტერდამში, ივანე ლეპეხინის მოგზაურობა რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციებში 1771 წელს, გამოცემული სანქტ-პეტერბურგში 1814 წელს, „აზიის რუსეთის“ იშვიათი ეგზემპლარები ატლასებიანად და სხვ.

სპორტის ამბები

„ნაუკის“ მოჭადრაკეთა გამარჯვება

დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს თასის გათამაშება ჭადრაკში ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა 12 გუნდის მონაწილეობით. გადამწყვეტ შეხვედრაში „ნაუკის“ მოჭადრაკეებმა დაამარცხეს „ისკრის“ გუნდი ანგარიშით 8:7 და მოიპოვეს გარდამავალი ჯილდო — თასი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ოსტატობის კანდიდატები თ. გიორგაძე და ბ. გურგენიძე, აგრეთვე პირველთანრიგოსნები გ. გამრეკელი, თ. კალატოზიშვილი, ლ. ბაპაურიძე და სხვ.

სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასზე

თბილისის ლენინის სახელობისა და „დინამოს“ სტადიონის სასპორტო დარბაზებში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ქალაქის უძლიერეს კალათბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდების ასპარეზობა გარდამავალი ჯილდოს — სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის მოსაპოვებლად. ფინალურ შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდნენ „ნაუკის“ ქალთა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა და „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდები.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

10 დეკემბერს საღამოს 8 საათზე შედგება ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის (სწავლების 1 წელი) თემაზე: „კომუნისტური პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში. პარტიის XIV ყრილობა“. ლექტორი ამხ. ი. მირცხულავა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება

ფხენიანი, 8 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება. "განცხადებაში ნათქვამია:

1953 წლის 3 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კარნახით უკანონოდ მიიღო რეზოლუცია ეგრეთწოდებული „მხეცობის“ შესახებ, რაც თითქოს ჩაიდინეს კორეის სახალხო არმიამ და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სამხედრო ტყვეებისა და სხვა პირთა მიმართ კორეაში.

ამასთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით გადაჭრით უარვყოფ და ვგმობ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციას, როგორც ანმოლუტურად ყალბსა და უკანონოს. იგი ცილისმწამებლური მიზნებით შეთხზეს ამერიკის მმართველმა წრეებმა, რომლებსაც არა სურთ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია უსამართლო, ყალბი და პროვოკაციულია. ამას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ რეზოლუციის განხილვისა და მიღების დროს დაშვებული არ იყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები. რომ იგი დამყარებულია ამერიკის მმართველი წრეების — კორეელი ხალხის ჯალათების ცალმხრივ ყალბ მტკიცებებზე; ამასვე მოწმობს ის, რომ ქვეყნებმა, რომლებიც იცავენ მშვიდობასა და დემოკრატიას სსრ კავშირის მეთაურობით, მტკიცედ გაილაშქრეს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ, ხოლო აზიისა და არაბთა ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს.

როგორც ცნობილია, ამერიკის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც პროვოკაციულად გამოწვიეს აგრესიული ომი კორეის წინააღმდეგ, რომლებიც უხეშად თელავენ ფეხქვეშ ომის წარმოების საერთაშორისო ნორმებს და ეფარებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელს, მშვიდობიანი კორეელი ხალხის მიმართ ჩაიდინეს საშინელი ბოროტმოქმედებანი, ცდილობენ დაიმონონ კორეელი ხალხი. ამით დაშინონ და შანტაჟი გაუწიონ მთელი მსოფლიოს ხალხებს, რომლებიც იცავენ მშვიდობასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ამერიკელი აგრესორები აბუჩად იგდებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მასობრივად ხოცავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, კერძოდ ქალებსა და მოხუცებს. ისინი არა მარტო უწესრიგოდ ბომბავდნენ და ანგრევდნენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, არამედ იყენებდნენ მასობრივი მოსპობის იარაღსაც, რომელიც სასტიკად აკრძალულია საერთაშორისო კანონებით — შხამიან ქიმიურ ნივთიერებებს, ბაქტერიოლოგიურ იარაღს. მიუკერძოებელმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა უკვე გამოიკვლიეს და დაადასტურეს, რომ ეს ბოროტმოქმედებანი ჩადენილია, და კაცობრიობამ დაგმო ეს ბოროტმოქმედებანი.

ამასთან ერთად ამერიკის მმართველი წრეები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმს ამოფარებულნი, არაადამიანურად ეპყრობოდნენ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების ტყვე სამხედრო მოსამსახურეებს. ამერიკელი აგრესორები მასობრივად ხოცავდნენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს, მხეცურად აწამებდნენ და ამინებდნენ მათ. ამ ბოროტმოქმედებათა სისასტიკე სამხედრო ტყვეთა ამერიკის ბანაკის ყოფილმა უფროსმა ბრიგადის გენერალმა დოდმაც კი აღიარა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უკვე არაერთგზის მიუმართავს განცხადებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, პროტესტი განუცხადებია ამერიკის მმართველი წრეების დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ კორეაში, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით სჩადიოდნენ, და მოუთხოვია ამ ბოროტმოქმედებათა შეწყვეტა. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს, დღემილით უვლიდა გვერდს ამერიკელთა მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით ჩადენილ დანაშაულს და უგულებელყოფდა კორეელი ხალხის სამართლიან, კანონიერ მოთხოვნებს. პოლიტიკა, რომელსაც შეერთებული შტატები და მათი მხარდამჭერი ქვეყნები — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები ახორციელებდნენ, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას და ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციის მიზნებს...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელმაც თავალი აარიდა ამერიკის მმართველი წრეების დანაშაულობებს კორეაში და უგულებელყო კორეელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნები, ამჯერად მიიღო სასაცილო გადაწყვეტილება, რომელიც გმობს „ბოროტმოქმედებებს“, რაც თითქოს კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა ჩაიდინეს, გადაწყვეტილება, რომელიც დამყარებულია ამერიკელი ავანტიურისტების ცალმხრივ, ყალბ და პროვოკაციულ „მასალებზე“. ამ უკანონო გადაწყვეტილების მიღებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თვითონ ამხილა არსი თავისი პოლიტიკისა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ვასალების პოლიტიკისა. და დაკარგა თავისი ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს თვალში.

მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების საზარელი დანაშაულობებისა, რაც მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამბრით კორეაში ჩაიდინეს, კორეის სახალხო არმია და ჩინელი სახალხო მოხალისეები, რომლებიც თანმიმდევრულად იცავენ ჰუმანურობის კეთილშობილურ პრინციპებს, ლმობიერად ეპყრობოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სამხედრო ტყვეებს და ამასთან ზუსტად ასრულებდნენ ჟენევის კონვენციას. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კეთილშობილური, ჰუმანური და სულგრძელი პოლიტიკა მტრის მზარის სამხედრო ტყვეებისა და სხვა პერსონალის მიმართ დაადასტურეს როგორც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი არა მარტო უშუალოდ რეპატრიირებულმა სამხედრო ტყვეებმა, არამედ მთელმა მსოფლიო საზოგადოებრიობამაც. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავიანთი სატელიტების დახმარებით შეთითხნეს ზემოხსენებული ყალბი პროვოკაციული რეზოლუცია.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს არა სურთ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება; ისინი ცდილობენ პროვოკაციით გამოიწვიონ ახალი ომი, ცდილობენ განზრახ შეუშალონ ხელი კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების საფუძველზე სამხედრო ტყვეთა საკითხის სამართლიან გადაჭრას და დაამკოლონ პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა უფრო მაღალ დონეზე. ისინი ცდილობენ მთელი მსოფლიოს ხალხებს დუმილონ ნამდვილი სახე ამერიკელი აგრესორებისა კორეაში, რომლებიც მასობრივად ხოცავდნენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს და აბუჩად იგდებდნენ მათ; ისინი ცდილობენ ცილი დასწამონ კორეა-ჩინეთის მხარის პოლიტიკას სამხედრო ტყვეთა მიმართ, რათა მიაღწიონ თავიანთ ბინძურ პოლიტიკურ მიზნებს.

აი ამიტომ ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად კორეელი ხალხი, რომელმაც საკუთარ თავზე განიცადა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული და დანაშაულებრივი